

აღწერილობა

ფარი გაკვეთილია ორ ნაწილად - მეწამულ და ვერცხლის ველებად.

I ნაწილი - მეწამული ველის თავში მოთავსებულია ვერცხლის ჯვარი.

II ნაწილი - ვერცხლის ველის თავში მოთავსებულია მეწამული ხუთქიმიანი გვირგვინი. გერბის ფარს გადაკვეთს ორი სარტყელი I ვერცხლ-წითელი სამთადიანი, ქონგურებიანი ხიდი, რომელიც მეწამულ ველზე ვერცხლისაა, ვერცხლის ველზე - მეწამული.

II ტალღოვანი ვერცხლ-მეწამული სარტყელი, რომელიც მეწამულ ველზე ვერცხლისაა, ვერცხლის ველზე - მეწამული. ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი ნახევრად ღია ჭიშკრით.

გერბის ფარს გარს არტყია შესამკობელი - ვაზის ფოთლების ვერცხლის ორნამენტი. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი "რუსთავი."

სადევიზე ბაფთის ორივე მხარეს გამოსახულია ორი მცირე მეწამული ჰერალდიკური ჯვარი.